№ 288 1918 წ. სამშაბათი ივლისის 23 № 288

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჩალოს სათრები თავს ესხმიან სომხებს და პრიეზეს ტფილისში, მელიქ-აზარიანცის სახლში, რამდენიმე კაცი მეიპყრეს: მათ ასაფეთქებელი მასალა აღმოაჩნდათ. — დ. საკლეთის ფრონტზე ბრძოლა სასტიკ ხასიათს ღებულობს. — გერმანელებ ჰარიზს უემბარებს უშენენ: ჰარიზში მრავალი მენობა დაინგრა. — ხმელთაშუა ზღვაში გერმანელებმა მტრის 4 დიდი გემი დაღუპეს.

ბანცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძესეული „ნადეედა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რაკ. გზის საფასურით 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

ივლისის 5 ს ქ. ფოსტაში საქართველოს მტრებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულს, შესანიშნავ ქართული პოლკის პორუჩიკის

იასონ ნ. კოლოზის ძე

ფილიპიას

მშობლები, ძმები და ნათესავნი ზადღობას სწირავენ ქ.ქ. ადლერსს, ფოთის, ახალ სენაკის, დ. ხობის და ს. ხეთის საზოგადოებებს, მესამე ქართულ პოლკს, ხეთის სოციალის-ფედერალისტთა პარტიას და ყველას, ვინც პატივი სცა მათ უდროოდ დაღუპულს შვილს დაძმას. 1247

ქ. ტფილისში, ივლისის 15-ს უეცრად გარდაიცვალა მოწყალების და

ელისაბედ (ლიზა) ს. მსოფლიოს ასული

ქუთათელაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და განსვენებულის ამხანაგ-მეგობრებს დედა ეკატერინე, და ძმა სიმონი, დები: ელენე, სოფიო, ანა, მარიამ, თამარ, ეკატერინე და რძალი ალექსანდრა. 777

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

ხელის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური სანამთრო შენობა, ოდეს. 18 00

1918 წ. დღეს ივლისის 23 ს გაიმართება

დიდი გალა-სპორტი

წარმოწილეობენ საუკეთესო მოჯირითენი, ჯამბაზები და სხვ... მონაწილეობენ იამოდ სონი, სლესტუშინსკი, ბონ ბონ, ბოდი, და სხვ.

ანონსი: ხვალ გაიმართება დიდი ბენეფისი ბონ ბონისა და ბოდის იციკავეს ტანგოს.

776 მთავარი გამგე: ბ. ეფიმოვი

1918 წ. ივლისის 25 დან ქ. ტფილისში გამოდის მთავრობის მოამბე, ყოველ-დღიური გაზეთი ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით

„საქართველოს რესპუბლიკა"

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. რედაქციისაა და კანტორის მისამართი: ქ. ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6.

რედაქტორი ბ. დ. ხაყვარელ ძე.

„მეორე ქართული კლუბი"

(ახალი საკრებულო)

მიხეილის პროსპექტი № 126.

სამშაბათობით და კვირაობით

სინემატოგრაფი 1246

საქართველოს სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიის

სენაკის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ მოხდება წევრების ახალი რეგისტრაცია. ყოველი წევრი ვალდებულია მიიღოს პარტიული წიგნაკი სოც.-ფედ. კლუბში 5—6 საათამდე. 1239

ტფილისი 1918 წ. ივლისის 23.

მორიგი საქმე.

ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა მოწადინებულია საქართველოში წესრიგობა, „კანონი და სამართალი" დამყარდეს. ვერ ნახავთ ვერც ერთს ისეთს კუთხეს ჩვენს ქვეყანაში, სადაც ხალხი პირდაპირ საშინელ ტანჯვას არ განიცდიდეს სწორედ იმიტომ, რომ ასე მოწყურებული „კანონი და სამართალი" არა აქვს. ეს სხვანაირად არც შეიძლება იყოს; არ შეიძლება იყოს იმიტომ, რომ სწორედ ეს დიდი უმეტესობა **მშრომელი** ელემენტია და შრომის ნაყოფიერობისთვის კი ანარქია ვერავითარი საფუძველია. მიუხედავად ამისა ხალხის ამ დიდი უმრავლესობის სურვილი ვერა კმაყოფილდება იმიტომ, რომ მშრომელ ელემენტების გარდა სოფელში არის მოყაჩაღე ელემენტი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, რომელიც თავზარს სცემს მშვიდობიან ელემენტს. ძალიან ბევრს ადგილას როგორც კორესპონდენტები, იუწყებიან: ხალხი თხოულობს, ამ მოუსვენარ ხალხს იარაღი ჩამოერთვას, მაგრამ აშკარად და თამამად თვით სოფელში ამას ვერ ამბობენ. და პრაქტიკულ ზომებსაც, რა თქმა უნდა ვერ ღებენ. ასეთი ორ-მაგი სულიერი განწყობილება ჩვენს პროვინციაში დაუსრულებელ ბუდოს და მრავალი ექსცესისა და გაუგებრობის საბაბად ხდება.

ამიტომ მთავრობის მორიგ საკითხად უნდა გაკეთდეს იარაღის მოკრეფა მთელ საქართველოში. იარაღი ჯარს უნდა ჰქონდეს და არა ყველას, ვისაც თოსუფოვა თოფის ტკაცუნი. იარაღი ძალიან სახიფათო რომ არის იმათ ხელში, ვინც არ იცის მისი ხმარება. თამამად შეიძლება ითქვას, ბევრს ადგილას ექსცესს ადგილი არ ეგნებოდა, შეიარაღებული გაყაჩაღებული ელემენტი რომ არ ყოფილიყო. ნაკლულს ვეღარაფრით ვუშველით. საჭიროა ხომალდში მაინც გამოსწორება საქმისა. პალიატივებით კი საქმე ვერ გამოსწორდება. საქმის გამოსასწორებლად საჭიროა რადიკალური ზომები და მთელი იარაღის მოგროვება მთელს საქართველოში. ძნელი იქნებოდა ამ საქმის განხორციელება, ხალხის დიდი უმრავლესობა რომ ამის წინააღმდეგი იყოს. მაგრამ, რადგანაც ეს ასე არ არის, იარაღის ჩაბორთმევა მთავრობას სრულიადაც არ გაუჭირდება.

იმ დრომდე კი, სანამ სოფელში უპასუხისმგებლო შეიარაღებული პირები დათარეშობენ და არავითარ მთავრობას არ ეშორჩილებიან, თითონ სწყვიტავენ სამართალსაცა და თითონვე წარმოიდგენენ მთავრობას, იმ დრომდე, სანამ სოფელი ამ უპასუხისმგებლო პირების ხელშია, არავითარ წესიერებაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

მთავრობაში.

სურსათის ადმინისტრაციის კომიტეტმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა. მიეცეს მას წითელ ჯვარის საჭიროებისათვის 475,500 ფუთ.

—

მთავრობამ დაადგინა, რესპუბლიკის სხვა და სხვა დაწესებულებაში დროებით დანიშნული პირნი გაიგზავნონ თავიანთ მუდმივ ადგილებზე, ამათ სალიკვიდაციო ფული არ მიეცეს.

უცხოეთი

მონარქიული წყობილება ფინლანდიაში.

გერმანიის რადიო-სადგურიდან იუწყებიან; თანახმად სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობებისა ფინლანდიის მთავრობამ განუცხადა ლანდსტანგის დეპუტაციას მთავრობა გადადგება თუ მონარქიული წყობილება არ დაამყარეთო. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამოუკიდებლობის შენარჩუნა.

პარიზის მდგომარეობა

პარიზი. ივლისის 20. სამშაბათს ივლისის 17-ს, კვლავ უუმბარები დაუშინეს პარიზის ცენტრალურ ნაწილს. ბრძოლელი ზარბაზნებიდან.

გერმანიის რადიო-სადგური იუწყება, რომ გერმანელებმა პარიზს დიდი ზიანი მიაყენეს და მრავალი შენობა დაანგრიეს. ყუმბარების სროლის გამო ტელეგრაფი დაზიანდა, ამიტომაც შეუძლებელი გახდა ფრონტის ცნობების გამოქვეყნება.

ხმელთაშუა ზღვაზე

ბერლინი. ივლისის 19 გერმანიის წყალქვეშა ნავებმა დაღუპეს ხმელთაშუა ზღვაზე 4 გემი, სულ 16.000 ტონისა. ამათ გარდა დაღუპეს 4 დიდი იალქნიანი გემი.

მირბახის მოკვლისათვის

ბერლინი. ივლისის 19. დახვრიტეს 13 მემარცხენე სოც.-რევ. რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მირბახის მოკვლაში. ამათ გარდა დატუსაღებულია მრავალი. რუსეთის მთავრობამ ნება დართო რომ გერმანიის საელჩოს გერმანელი ჯარის-კაცები იცავდნენ (სამოქალაქო ტანისამოსში) ცხვირ-რომდენიმე ასეული.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. ივლისის 20. გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი: ენსა და მარნოს შუა სასტიკი ბრძოლაა. მტერი კვლავ აგროვებს ძალებს, რომ ჩვენი ხაზი გაარღვიოს.

პარიზი. ივლისის 20. ენსა და მარნას შუა სასტიკი ბრძოლა გრძელდება. მარნაზე გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენს წინსვლას და სულ ახალ-ახალ ძალებს აგროვებენ აქ.

ბერლინი. ივლისის 20 კრონპრინცრუპრეხტის ლაშქარი: ანკერთან ძლიერი artილერიო ბრძოლის შემდეგ ინგლისელებმა იერიშები მოიტანეს ბრძოლა და გამაძეს შუა ინგლისელებს დიდი ზიანი მივაყენეთ და უკუვაქციეთ, ინგლისელებმა საღამოსაც მოიტანეს იერიში ებიუტერბის აღმოსავლეთით და სასხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ აქაც დამარცხდნენ. დღისით ბრძოლა ზომიერი იყო, საღამოს გაძლიერდა.

ბერძანელ კრონპრინცის ლაშქარი: ენსა ჩრდილოეთით ნუვრონ ფონტეს შუა მტერმა ადგილობრივი იერიშები მოიტანა; ჩვენი ალინი კონტრ-იერიშით მოვიგერეთ. ენსა და მარნას შუა მტერმა ახალი დივიზიები მოიშველია; მიუხედავად ამისა მტერი დიდად დავაზიანეთ და გავრეკეთ მთელი სიძლიერ ბრძოლისა ფრანგების ხეზით დაწვა აღარ ეღირებოდა, ტუბისელებს მაროკოელებს და სენეგალებს. ფრანგების ჯარში იბრძოდნენ აგრეთვე ამერიკელები, შავ-კანიანები, ინგლისელებიც. ორი დღის მძიმე ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა კვლავ გამოჩინა სიძლიერე კონტრ-იერიშების მიტანის დროს. ჩვენი ჯარი უკვე შეეჩვია იმასა რომ მტერი artილერიის მოუმზადებლად იწყებს შეტევას; ეს წინად ბოლოდნელი იყო ხოლმე ჩვენებისათვის და შესაფერ შთაბეჭდილებასაც ახდენდა. გუშინდელმა ბრძოლამ არაჩვეულებრივი გაჯარჯვება მოგვანა. მტერი დამარცხდა სუასონის სასხრეთ-აღმოსავლეთით, მაღრობებზე. ძლიერი საartილერიო მზადების შემდეგ ჯავშნოსნების დახმარებით მტერმა 7-ჯერ მოიტანა იერიში სუასონ-ატო-ტიერის გზ. ტკეცილზე, ურკის ჩრდილოეთით. ხაოტეხპის ჩრდილო-დასავლეთით მტერი დამარცხდა ჩვენი ახაკის წინ. ხარტენბის სასხრეთ-დასავლეთით მტერი გავრეკეთ. მტერი დამარცხდა აგრეთვე ურკის სასხრეთით. ლაბით ჩვენ ძოსაგზრიებელ ხაზები შტო-ტიერის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადავიტანეთ.

გუშინ ნაასის სამხრეთ სანაპიროთი ოთხი საათის საartილერიო მზადების შემდეგ მტერმა იერიში მოიტანა, საartილერიო ცეცხლის საშუალებით ჩვენ დიდად დავაზიანეთ მტერი. რეიმსის სამხრეთ-დასავლეთით მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციაზე. მარნასა და არდრის ჩრდილოეთით აწყლს შუა. აქ ინგლისელები დახმარებას უწევდნენ ფრანგებსა და იტალიელებს. მათი იერიშები ჩვენმა artილერიამ მოიგერია, ჩეხმა ჰაეროპლანებმა სატყვიის მფრქვეველო და საყუმბარო ცეცხლის საშუალებით გარეკეს მტრის ქვეითა ჯარი.

საჰაერო ბრძოლაში გუშინ მტრის 24 ჰაეროპლანი და 3 საჰაერობალონი ჩამოაგდეს

ბერლინი. ივლისის 21. სადამოს ცნობა. ენსა და მარნას შუა ფრანგების იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა. ენსა ურკს შუა სალაროს ახლო ბრძოლა დაიწყო.

პალესტინის ფრონტი

სტამბოლი. ივლისის 21 მარნასთან მტრის პატრული გავრეკეთ სხვა ფრონტზე ახალი ხრაფერია.

ეროვნული საბჭო

19 ივლისის სხდომა

საღამოს 10 ს. კრებას ხანის თავმჯ. ნ. ჩხეიძე.

განსახილველია ბონების გამოცემის საკითხი.

ი. ლორთქიფანიძე. თავმჯდ. საფინანსო კომისიისა კრებას მოახსენებს, რომ დღემდე გამოცემულ 300 მილ. ბონების პასუხისმგებლობას ჰკისრულობს საქართველოს რესპუბლიკა, ვიდრე მოხდებოდეს შეთანხმება სომხეთთან და ადერბეიჯანთან, ახლა კი საქ. მთავრობას საკომისიო უფლება უნდა მიეცეს გამოსცეს კიდევ ბონები ახლოლდ საქართველოს პასუხისმგებლობით.

გ. ჟურული, ფინანსთა მინისტრი, ბესახებ დღემდე გამოცემულ 300 მილ ბონების პასუხისმგებლობისა ადერბეიჯანიდან გვიპასუხეს ჯერ გვეყოთ რუსეთის ქონება, რომელიც ფოთლისია და ახლოლდ ამ შემთავეევა ვიკისრებთ გამოცემულ ბონების პასუხისმგებლობასაო. ამ გვარად ადერბეიჯანთან ვერ შევთანხმდით. სომხებთან კი შევთანხმდით და ეხლა მთავრობამ დადგინა გამოსცეს 200 მილ. ბონები, აქედან სომხებს მიეცემა 80 მილიონი, ჩვენ კი 120 მილ. საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის მეტი ხარჯია საჭირო და ამით არის გამოწვეული, რომ სომხეთს საქართველოზე ნაკლები მიეცემა. უკვე გამოცემულ ბონების შესახებ კი დეკლარაცია უნდა გამოიცეს, რომ პასუხს აგებენ საქართველო, ადერბეიჯანი და სომხეთი, ჯერხანობით კი ვიდრე ადერბეიჯანთან შეთანხმება არ მოახდარა პასუხს აგებენ საქართველო და სომხეთი.

ნ. მდივანი (სოც.-ფედ.) მოითხოვს, რომ გამოცემულ იქნას ქართული ბონები.

ი. მ ჭავარიანი (ნ.დ.) ახარს უჭერს საფინანსო კომისიის დადგენილებას. შეუძლებელია სომხეს მიეცეს 80 მილიონი, ოადგან უნდა გვახსოვდეს, რომ მათ, როგორც ჩვენგან განსხვავებულ ორიენტაციის ხალხს, შეუძლიან ჩვენ საზარალოდ გამოიყენონ ეს ფული.

გ. ჟურული იცავს მთავრობის დადგენილებას და ილაშქრებს ს. მდივნის და ი. მაჭავარიანის წინააღმდეგ. მისი აზრით ქართულ ბონების გამოცემა არ შეიძლება, რადგან ჩვენ არ გვაქვს საკუთარი საემისიო ბანკი და

იმერული ღვინო

გაიხსნა ღვინის საბჭრო

სარდაფი

„იმერეთი"

მეღვინეობა ამხანაგობის

მიხეილის პროსპ. № 39 (მთავარი ფოსტის კანტორის ახლოს).

ამხანაგობა მიაწოდებს საზოგადოებას საუკეთესო იმერულ ღვინოს. ამ დღეებში გაიხსნება, აგრეთვე განყოფილებები, სხვა და სხვა უბანში, რაც გამოცხადდება თავის დროზე.

ფასები: № 2—3 მან., № 3—3 მ. 50 კაპ., № 4—4 მან., № 5—5 მ., № 6—6 მან.

მთავარი საწყობი ამხანაგობას აქვს ქ. ზესთაფონში.

765

მეღვინეობა ამხანაგობა „იმერეთი"

გაცხადება

თელავის ქალთა ნ. ნინოს სასწავლებლის

საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ 1918 წლის სასწავლებელში თავისუფალია შემდეგი ადგილები: სასწავლებლის უფროსისა (ინსპექტორისა), ქართული ენის მასწავლებლისა უფროს კლასებში (V—VIII კლ.) რუსულისა უფროს კლასებში, ლათინურისა (კარგია ეს ორი საგანი ერთმა პირმა), ფრანგულისა, ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებისა უმცროს კლასებში. ჯამაგირი ზემოაღნიშნულ პირთ მიეცემათ ერთნაირად სხვა საშუალო სასწავლებლებთან. თხოვნები უნდა გამოგზავნოს საპედაგოგიო საბჭოს სახელზე. უკანასკნელი ვადა თხოვნების მიღებისა მარიამობისთვის 20 ს (ახალი წელთ. ღრიცხვით) 1240

სხვა ბანკებმა კი განაცხადეს, ქართულ ბონებს არ ვიღებთო.

ი. წერეთელი. (ს.-დ.) იცავს მთავრობის პროექტს, იგი წინააღმდეგია იმისა, რომ ამიერკავკასიის ბონებს საქართველო სცემდეს და სომხეთისა და აზერბაიჯანს არაფერს აძლევდეს. არც იურიდიული და არც მორალური უფლება გვაქვს ასე მოვიქცეთ. და თუ ჩვენ დამოუკიდებლად გამოვცემთ ბონებს, ბონების ფასი დაეცემა და იგინი მთლად საქართველოს დაატყდება, სომხები ჩვენ საზარალოდ მოიხმარენ ბონებსო—ამბობენ, მაგრამ თუ ჩვენ მათ ფული არ მივეცით უფრო მეტ ზიანს მოგვაყენებენ და იხტრიგებს გამართავენ საერთაშორისო მასშტაბში.

ა. ახმეტელი (რ.-დ.) მხარს უჭერს საფინანსო კომისიის დადგენილებას, ხოლო ი. გომეჩია (ს.-რევ.). მთავრობისას.

ხმის უმეტესობით გადის მთავრობის კანონპროექტი.

ᲥᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ **სამხედრო სასამართლო** დღეს სამხედრო სასამართლოში, თანახმად ყოფილ დროებით მთავრობის კანონისა ხირვლად ქართულ სამხედრო სასამართლოში იქმნება საჯარო კენჭის ყრა ნაფიც მსაჯულთა თვის. კენჭის ყრის წინ სამხედრო მოსაჯარულნი ფიცს მიიღებენ საქართველოს რესპუბლიკის ერთგულებაზედ.

◆ **ბორჩალოს თათრები.** როგორც გავიგეთ, ბორჩალოს თათრები დაეცხენ სომხის სოფ. დაბკენს; გაუძარცვეთ საყდარი, წაუყვანიათ ქალები, ვინც გადარჩენილა ტყეში დამალულა საგუბერნიო კომიტეტმა სიღნაღის კომისარს წინადადება მისცა ზომები მიიღოს ახარკიასთან საბრძოლველად.

◆ **გარნიზონის უფროსმა** დაჯილდოვა ჯვრისკაცი ნ. ქართველიშვილი სადარაჯოზე სიმთვრალისათვის და სახაზინო ეკონომიის გაფლანგვისათვის.

◆ **ხენაკი.** უკანასკნელ დღეებში ხენაკიდან ჩამოვიდნენ იქაური აგრონომი ხოფერია და ადმარ. კომიტეტის თავჯდომარე სენაკის ბაზრისათვის სიმინდის შესაძენად, მაგრამ იმათი სურვილი დაკმაყოფილებული არ იქმნა.

◆ **სოც.-ოკ.** ფრაქციის კანდიდატები ეს. საბეჭოს ი. დ. ხუციშვილი, ნ. ხ. ჩაგოგიძე, ვ. ბაიბაძე, ი. თევზაძე, სახიკაძე, ბ. ბურულავა, პ. საბაშვილი, გ. ეფარიშვილი, კ. კაპანაძე.

◆ **რეფერენდუმი ყარსისა და ბათომის ოლქებში.** ინსტანციათა შეერთებისათვის ხმა მისცა 83,000 კაცმა ხოლო წინააღმდეგ 2000-მა.

◆ **გერმანულ-ქართულ საზოგადოების** დამფუძნებელ კრებას თავმჯდომარეობდა ტ. მარგველაშვილი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ. კრებას ქართულად მიესალმა არტ. ლენინი, აირჩიენ საორგანიზაციო კომისია, რომელშიაც შედიან პროფესორი ჯავახიშვილი, გ. ქიქოძე, ონიაშვილი, ბრ. ვეშაპელი და ტ. მარგველაშვილი.

◆ **მელიქაზარიანცის ბინის გაჩხრეკის დროს** დაპატიმრეს პოლკ. ჯუნკოვსკის ცოლი მარგ. ჯუნკოვსკისა. დატუსაღებულნი არიან ასაფეთქებელ მასალების შენახვისათვის პოლკ. ჯუნკოვსკი, გენ. ფონ-რუბენაუ და პორ. ალექსანდროვი. იგინი იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გადაცემულ იქმნენ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში.

◆ **გერმანიის სამხედრო ხელჩამ** რუსულ ეროვნულ საბჭოს აცნობა, რომ ოთხთა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მყოფ რუსს ტყვეებს უყურებს არა როგორც ტყვეებს, არამედ, როგორც თავიანთ სტუმრებს. საელჩომ წინადადება მისცა საბჭოს გაგზავნილ იქმნას რწმუნებული, რომ ნახოს თუ რა პატივით ეპყრობიან ტყვეებს. რუს. ერ. საბჭო დელეგაციას აგზავნის

◆ **ბოროტმოქმედები.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დიქტატორმა რკინის გზის მილიციის უფროსს შემდეგი აცნობა: „სურსათის მიმწოდებელ კომიტეტის საგანგებო რწმუნებულის ცნობით გავიგე, რომ 10 შეიარაღებულმა კაცმა, რომელიც თავიანთ თავს რკ. გზის მილიციელებს უწოდებდნენ, ივლისის 18-ს მოითხოვა, რომ მათთვის მიეცათ წითელი ჯვრის საწყობიდან ყინვის გასაკეთებელი ვაგონი, საწყობის გამგემ მდივანმა უპასუხა ვაგონა მხოლოდ კომიტეტის მოწერილობით გაიცემაო, მაგრამ მას არ დაუჯერეს, შევიდნენ ორთქლმავალითა და ძალით გამოიტანეს ვაგონი, დაშავნებულია ელექტრონის მავთულები, რომლათაც დამაგრებული იყო ვაგონი. გთხოვთ ეს შემთხვევა აგვიხსნათ.

◆ **ქართულ ტექნიკურ საზოგადოების კრება.** დღეს, ივლისის 28-ს ფრეილინის ქუჩაზე № 11, საღამოს 8 საათზე შესდგება ქართულ ტექნიკურ საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. კაკაბაძე განაგრძობს თავის მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქიმიურ მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“, შემდეგ გაირჩევა მიმდინარე საკითხები.

◆ **თეთრი ნახშირის კომისია.** კვირას, შესდგა პირველი კრება თეთრი ნახშირის კომისიისა, კრებაზე დაადგინეს ერთი კვირის განმავლობაში იქმნას გადამუშავებული რუსეთის კანონი თეთრი ნახშირით სარგებლობის შესახებ და დაუყონებლივ გაირჩეს ყველა კონცესია, რომელიც დღემდე შეწოტანილია მიწათმოქმედების სამინისტროში.

ᲡᲘᲛᲦᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ

◆ დაარსდა სატეხნიკო კოტორა. იღებს ყოველგვარ სატეხნიკო სამუშაოს ზედამხედველად დანიშნულია ა. ბაფთასი. ბინა კოტორისა იმყოფება მიხეილის ეუჩაზე, ყოფილი სოც.-რევოლიც. ბიუროში.

◆ ივლისის 13-ს ზღვაში დაიღრჩო ფოთის სავაჭრო გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე ა. ხუა.

◆ მილიციის უფროსად დანიშნა პ—კი ა. კილუსაძე, ყოფილი ბათომის მილიციის უფროსი.

◆ ექვსი ათასამდე ლტოლვილი იმყოფება დღეს ქალაქში. უმეტესი ნაწილი მათი დაბანაკებულია ნავთსადგურში. ყოველგვარი ავადმყოფობაა გავრცელებული მათში და ანტისანიტარიული გამოსაყოფელ დღე კვდება ხუთი, ექვსი კაცი, უ�ეტეს ნაწილად კი ჩავშრი. ავადმყოფობა ეპიდემიურ ხასიათს იღებს და ამით დიდ საფრთხეს უქადის ქალაქს. ერთი ექიმიც ავადაა, რომ ავადმყოფებს მიხედოს. საჭიროა დაუყოვნებლივ სანიტარული დახმარება, ახ და მათი გადასახლება.

◆ ცუარებელი ძღვლი დაბეტონილობს ქალაქში რისთვისაც ძნელი ხვდება სიარული თავისუფლად როგორც დღე, აგრედვე ღამე. სიბნელის გამო შესაძლებელია, რომ ძღვლები გაცოფიანდნენ.

◆ ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა სპეკულიაცია, სპეკულიანტები სარგებლობენ რუსების კრიტიკულ მდგომარეობით და 100 მან. რუსის ფულს ჰყიდიან 125, 130 მან. 1000 მ. კი 1200 მ.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ეღარავალათვისაა დაფარული რომ საქართველოს ბევრი კუთხე ბოლშევიკთა ბრბოების სათარეშო ასპარეზად გადაიქცა. თვითონ სოხუმისა და მთელ აფხაზეთში აქამდის ანარქია მძვინვარებდა; კიდევ უფრო სამწუხარო ამბები მოაქვს დეპეშებს საქართველოს დანარჩენ ადგილებიდან.

ჩვენის აზრით საჭიროა გამოირკვეს ანარქიის ძირითადი მიზეზები და სათავეშივე მოისპოს იგი.

ამის გამორკვევას და ანარქიასთან ბრძოლას მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს და თუ ვერ აქცევს პრესა მოვალეა მიუთითოს მთავრობას თავის შეცდომისაკენ. მართლაც და მეტად სუსტი და შეუფერებელია მთავრობის მოქმედება ამ შემთხვევაში და ხანდახან ისეთი მოუფიქრებელიც, რომ თვითონ უწყობს ხელს ანარქიის გაძლიერებას. უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ მოიქცა ჩვენი მთავრობა სოხუმის ოლქში და როგორ მისცა საშუალება ბოლშევიკებს კიდევ განმეორებინათ თავიანთი ვერაგობა... მაგრამ ეს კიდევ ცოტაა... მაშინ აქ შეიპყრეს ბევრი ისეთი ბოლშევიკები, რომელნიც დიდად მავნებელნი არიან საზოგადოებისათვის, და ხელს უწყობენ ანარქიის გაძლიერებას, და იმის მაგივრად, რომ ეს ვიტალონები დაესაჯათ ისე, რომ მათში ჩაეკლათ თავიანთი ბოროტ მოქმედების განმეორების სურვილი, მთავრობამ რამდენიმე დღის შემდეგ დაუსჯელად გაუშვა სათარეშოდ, რამაც უეჭველად ძლიერ წაადუზა იგინი. ასევე ხდება ყველგან მთავრობა ხშირად ამბობს „გავფანტეთ ბოლშევიკური ბანდები.“ მაგრამ მეტს კი ველარაფერს ამბობს და მარტო გაფანტვა-კი ჩვენი აზრით საკმაო არ არის, რადგან მარტო გაფანტვა და მათი დუჯელად გაშვება მთავრობის ავტორიტეტს ძლიერ სცემს და მათ-კი საშუალება ეძლევათ ხალხი დაარწმუნონ: მთავრობა სუსტია და ვერაფერს გვიბედავს ჩვენი ეშინიაო! და ხალხსაც სჯერა ეს, რადგან ამის საბუთს თვითონ მთავრობა აძლევს. გაზეთ „ერთობის“ ერთ ერთ ნომერში ცნობაა: ბაქოში მოხსენებებს კითხულობენ და აჯახყებებს აწყობენ ქავთარაძე და კაბპანია, სწორედ ის ბოლშევიკები, რომელნიც რამდენიმე ხნის წინად ტფილისში თავისუფლად დათარეშობდნენ და თავისუფლად წაბძანებაც ხსძლეს, რომ შემდეგ ველური ბრბოებით შემოსეოდნენ იმავე ტფილისს.

ასევე ხდება ყველგან და ეს ისეთი დიდი შეცდომაა, რომ ამას შეუძლია რესპუბლიკა დაღუპვის კარამდის მიიყვანოს. მთავრობის მეორე შეცდომად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მთავრობა საკმაო ჯარს ვერ გზავნის სადაც საჭიროა და რასაც გზავნის იმასაც ნაწილ-ნაწილად და დაქსაქსულად.

მთელი საქართველო საშინელი განსაცდელის წინაზე დგას. მთავრობის ყოყოხი და ორპოფოლა ქვეყნის დაღუპვაა!

გარდა ამისა სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ხმოლოდ ერთი მთავრობა და მთელი ძალა-უფლება უნდა ჰქონდეს, ხმოლოდ ის.

მიავალ-მთავრო�იანობა დაგვღუპავს ისე როგორც დაღუპა რუსეთი! გაზ. „ერთობაში“ ცხოობა: სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა სიბეჭდ გადაეყენა ქალაქის თავიო.

სწორედ ახირებულია!

შეიძლება საბჭო მართალიც არის იმაში რომ შეიძლებელია მართლაც მავნე და შავრაზმელიც იყოს ქალაქის თავი, მაგრამ საბჭოს ეო უნდა ავიწყდებოდეს, რომ რესპუბლიკის ჰყავს თავისი მთავრობა და რომ ეს ხმოლოდ მთავრობის ფუნქციას შეადგენს.

ან მთავრობს რათ ავიწყდება, რომ ქალაქის თავის არჩევა, გადაყენებაში და საზოგადოდ ქალაქის გაძგეოების შინაურ საქმეებში ნიკოლოზის მთავრობაც ვერ ეიეოდა ახირებულად და რომ ეს ხმოლოდ უმაღლესი მთავრობის ფუნქციაა?

თუ მთავრობას უნდა ქვეყნის ხსნა მან უნდა თავი დაანებოს დიპლომატიურ პოლიტიკას და მიმართოს საქმეს და გადადგას გაბედული ნაბიჯები.

კმარა მცონარეობა და მგლების თავზე სახარების კითხვა, კუნიანს სამარე გაასწორებსო.

ხსნა მხოლო სიმტკიცესა და ენერგიული ზომების მიღებაშია!

მთელ სახელმწიფოში უნდა მოისპოს ანარქია. მკაცრი პასუხი უნდა აგონ ქვეყნის მოღალატეებმა, რომელნიც დაძმწყინ აირიყვებენ და ამხედრებენ ხალხს რესპუბლიკისა და მთავრობის წინააღმდეგ!

რესპუბლიკა განსაცდელშია! მთავრობამ უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი ძალ-ღონე და იხსნას ქვეყანა!

ი. კორტი.

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ

ქართლის პირსა ვინ ჩამოსთვლის,
თუ არ ბრძენი ენა მჭევრი,
იფქლი ღვარძლად გადაიქცა
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.

სწორედ რომ ვინ ჩამოსთვალოს საქართველოს პირი, ვინ მოსთვალოს, რამდენი მტერი ჰყავს ჩვენს პატარა, ახალგაზრდა რესპუბლიკას. ისინი, ვინც გუშინ გვმოყრობდნენ და ძმობას გვლიფიცებოდნენ, დღეს სამარეს გვითხრიან და ჭლამობენ დაღუპონ ჩვენი დამოუკიდებლობა. რუსები, სომეხები, ოსნი და გაბოლშევიკებული ქართველები ნორჩი სახელმწიფოს წინააღმდეგ ამხედრებულან და მისი თავისუფლების დასამხობად მედგრად იბრძვიან. ისტორიულ ქარცეცხლში დაიბადა საქართველოს დამოუკიდებლობა. პატარა მურიამ როგორც იყო გადაჰხარა ის ჯაჭვი, რომლითაც გმირთა ჯმირი ამირანი თეთრად შეპენტილ ჭადარა, მაგრამ მუდამ ამაყ და ახალგაზრდა კავკასია ქედზედ იყო მიჯაჭვული, ყვავ-ყორანთ ხროვა, რომელიც მას სულ მუდამ ეამს ხორცს უჯიჯგნიდა, ჩრდილოეთ ხეკნ გაჭფრინდა და ამირანი იგი, ლაღი და თავისუფალი, მხნე და ბულოვანი ციდან ბარად ჩამოეშვა და საყვარელ სამშობლოს მდელოს ტკბილად ჩაეკონა:

„ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო“...

თოფ-ზარბაზანთა გრიალის ქვეშ ჩვენ მთლიანი საქართველო შევკმეტით და იმ იალქნებს, რომელნიც კაცობრიობის ზღვაზე დასცურავენ, ჩვენი პატარა, ახლად გაკეთებული იალქანიც მივუმატეთ. მჭერის და მჭფრინავს კოხტა იალქანს ისტორიულ გზაზე, უკან კი აბრეკთა ბრბო დასდევნებია და სცდილობს გზა გადუკრას მას, ჭფიქრობს ხელში ჩაიგდოს იგი, ლაბობს მასზედ გაბატონებას. დეღავს და ბობოქრობს ცხოვრების ზღვა, და საჭიროა კარგი ბელაქი, რომ იალქანი იგი ან ზღვის გაშმაგებულმა ტალღებმა არ ბოიტაცოს და ბის ღრმა უფსკრულმა არ დაისაკუთროს ის, რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო ძვირფასი უნდა იყოს, რასაც ჩვენ თვალის ჩინივით უნდა ვუფლიდეთ, ან და რომელიმე წყალქვეშა კლდეს არ დაეჯახოს, რომ იალქანი იგი არ დაიხსნეოს.

სახელმწიფოს შექმნა სახუმარო საქმე არ არის და ამიტომ არა თუ მხოლოდ მთავრობა, არამედ თვით ხალხიც უნდა ეღებდეს მონაწილეობას იმ რთული აპარატის მოწყობაში, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება. მერე განა ჩვენ ვუწყობთ ხელს მთავრობას? ვთხოულოთ ძლიერ ბთავრობას და ის კი არ ვიცით რომ ძლიერი მთავრობის შექმნის თავდები თვით ხალხია..., ორგანიზაციულად მოწყობილი სოფელი და ქალაქი თავისთავად ჭმნიან იმ ძალას, რომელიც მას სათავეში უდგას. ჩვენს ზეკი რას ეტყოდავთ?.. საშინელი სურათი გეშლებათ - თვალწინ, ოდეს გადახედავთ ქართულის სოფლებს. დღეს იქ ხალი ძალები თავისუფლად დათარეშობენ, პროვოკაციის ქსელში ახვევენ გულუბრყვილო ხალხს და მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. ოსებს და სომხებს მაგარი საფუძველი დაუმკვიდრებიათ ქართლში, და არავის ძალუძს ძირიანფესვიანად აღმოფხვრას ეს ბოროტება. სომხის და ოსის ნაძირალებს ზედ დაურთეთ გაბულიგნებული ქართველი ჯარის კაცები და თქვენ დარწმუნდებით, რომ საქმე ისე არ არის, როგორც ჩვენს მთავრობას სურს, თქვენ დარწმუნდებით რომ საქართველოს მთლიანობას დიდი განსაცდელი მოელის. ადვილი შესაძლებელია, რომ გომის რაიონში და ჯავის ხეობაში დღეს თუ ხვალ კვლავ აჯანყებამ იფეთქოს, ვინაიდგან ამ ადგილებში ოსი პროვოკატორები მხნედ მუშაობენ და ძარს უთხრიან საქართველოს მთლიანობას. ამიტომ საჭიროა ამ კუთხეებს დიდი ყურადღება მიექცეს თუ გინდ იმითი, რომ გამოგზავნილ იქმნას მთავრობის კაცი საქმის ვითარების გასაგებად და გამოსარკვევად. არა თუ სოფელში, არამედ ქალაქშიც, სადაც არის მაინც ადმინისტრაციის ნასახი დღეს ეს ბნელი ძალები დაწყებულ საქმეს მოურიდებლად ანგიარებენ და მოქალაქეთ აჯანყებენ. ჩვენს მტრებს ყველაზე ძალიან ის აწუხებთ, რომ მთელ საქართველო გაერთიანებულია, რომ ქართლი კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო დღეს ერთად სწყვენ ცხოვრების მძიმე ჭაპანს, და საერთო სამშობლოსათვის ზრუნავენ. მთლიანი საქართველო—ეს დიდი საფრთხეა, მათთვის ვინც გუშინ ჩვენში ჰპატონობდა და ხალხის უპატურებაზე თავის ბედნიერებას აშენებდა. და რასაკვირველია იმათი ცდა ეხლა ის არის რომ ერთი კუთხე საქართველოსი, მეორე კუთხეს გადაჰკიდონ, მათ შორის ჩამოაგდონ შუღლი და მტრობა, რათა გავერანებულ სამშობლოს ადვილად დაეპატრონონ და ძველი ბატონობა აღადგინონ. საწყენი ხმოლოდ ის არის, რომ ამისთანა პროვოკაციის ქსელში ბევრი ქართველი ინტელიგენტი გაება და, თუ ფაქტიურად მათთან არ მუშაობს, ფაქტიურად მაინც ხელს უწყობს ჩვენს მტერს. საქართველოს მოძულეთ, მისი მთლიანობის მტერთ ის დაუბვევიათ თითზე, რომ საქართველოს სათავეში იმერლები და გურულები უდგანან, ქადაგებენ, რომ საჭიროა მათი დამარცხება და თავის მხარეში გადეკვა, საჭიროა რომ ქართლის დედა-ქალაქი ტფილისი ქართლელების ხელში იყოს და არა უცხო—ტომელებისა. ავრცელებენ, რომ იმერლები და გურულები მხოლოდ თავიანთი ჯიბეს ასქელებენ და სხვა ამისთანები. აი რას ჩაჩჩინებს ჩვენს მოქალაქეს ოსი, სომხის და რუსის პროვოკატორი; აი რითი სურს მას დაანაწილოს მთლიანი საქართველო. ჩვენი ხალხიც უჯერებს უბადრუკთ დაარა თუ ტფილისის მთავრობის წინააღმდეგ, არამედ ადგილობრივ ადმინისტრაციის წინააღმდეგაც ილაშქრებს და მოითხოვს მათს უკანვე (ისე იგი იმერეთშივე) გადასახლებას. „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, უთქვამთ ძველად და თუ ამისთანა პროვოკატორები არ აილაგმენ, თუ ბოლო არ მოეღო ამისთანა თავგასულობას, საქმე, შესაძლებელია, ძალიან ცუდათ წავიდეს და სახელმწიფოს შეეხსნათვის შრომა გაძნელდეს. მათ კი, ვინც ძირს უთხრის ჩვენს მთლიანობას, დეე იცოდნენ, რომ ქართველი ხალხი ჯერ ისე არ დაკნინებულა, რომ თვითონვე დაახგრიოს ის, რაც თვით ააშენა. დეე იცოდნენ, რომ ხალხი ბიზვდება მათს გველურს აზრებს და ქვით თავს გაუმეტყავს, ჩაუქოლავს. დღეს საქართველოს დედა-ქალაქში ინტელიგენცია სამშობლოს ყველა კუთხეებისა ერთად მუშაობს, ერთად ზრუნავს რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის. დღეს ქართველი, კახელი, იმერელი, გურული, მეგრელი და სხვა შვილები ვართ საერთო სამშობლოსი, ერთი დედის ძუძუ გვიწოვია და რომ ჩვენ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ ხმლები გავლესოთ, ეს შეუძლებელია.

საქართველს მთავრობამ, მისმა შეგნებულმა ძალებმა უურადღება უდა მიაქციონ ამისთანა პროვოკატორების გამოსვლას და ბოლო მოუღონ მათს თავისუფლად თარეშს. დღეს ქართლის ცენტრში—გორში ბრავალი ბნელი ძალა იმყოფება და ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უნდა ალაგმოს ეს ძალა. შეგნებულმა პირებმა კი უნდა ჩაგონონ ხალხს, რომ ეს სახიზღარი პროვოკაციაა საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული და გააფრთხილოს იგი. საქართველო მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, როცა იგი გაერთიანებულია. ეს სჯერა ჩვენს მტერს და აკი იმიტომაც სცდილობს მის დანგრევას. ჩვენც ფრთხილად ვიყოთ და ყოველივე ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლას მზად დავხვდეთ.

ირაკლი ფერაძე.

უმანკო მსხვერპლის ხსოვნას

ყოველი ღირსეული პირ-ვარამით გარემოცულმა ჭირთურამ სძლია უფცრულ წვრილმანობას და სავსებით განიცადა ადამიანის შეგნებით ხაკისრი მოვალეობის წუთები და მით მისი სულიერი მოთხოვნილება ოდნავ მაინც დაკმაყოფილებულ იქმნა. მე მაქვს სახეში ომში დაღუპულ ახალგაზრდა შ. ვაშაძის დაკრძალვა. ხშირად გვსმენია ქართველებმა ანდერძებიანი დაკრძალვა ნაკლებად ან ალბათ არასოდეს. დამეთანხმებით, ეს ერთ-ერთი, არ გვ-გვითუნია - იგი ის - ახალგაზრდობით და არასოდეს მგონი არ გაგვმართლებია იგი იმ თვალსაზრისით, როგორც დღეს, როდესაც უკეთესმართი გარემოების ზეგავლენით ხალხი გაერანებამდის ვიდოდა და ყოველი წმინდა რწმენა და იდეალი დაჭკარგა. დიდებულად მოწყობილი ცხედრის დაკრძალვა თუ ერთნაირი პატივისცემა არის განსვენებულის პიროვნებისადმი მას დღეს ზედ ერთვის ზნეობრივი მხარეც—პირადი, ეგოისტური გრძნობებით და ანგარიშებით გაჟღენთილ ხალხის ნაწილს ასეთი შემთხვევა არ-კვევს აფხიზლებს, ამხელს მის დანაშაულს და იმ სიმაღლემდის აყავს იგი ამ წამს საიდანაც ზიზღით დასცქერის ცოდვილ დედა-მიწას. სახეც კი მისი ამ დროს, მხოლოდ კეთილ-შობილებას გამოხატავს, წადილიც მისი ერთი სიკეთეა.

მშვენიერ ახალგაზდის მსხვერპლმა მოაგონა ხალხს ადამიანის უმაღლესი მოვალეობა და გარემოებით გზას ამცდარი, ისევ ადამიანთან აქცია. ხედავდი ზღვა ხალხს ყველას ერთნაირად შეწუხებულს, ყველას თავალცრემლიანს, ყველას ერთი დარდით მოცულს. ასეთი გაერთიანებული გლოვა სანუგეშოა და იმედ აღმძვრელი, რომ ერს არ დაუკარგავს თავისი სახე და ყოველი თავის თავგანწირული შვილის დაკარგვით, ის გლოვს არა მარტო მას, ის გლოვს და ცხარე ცრემლებს აყრის დაავადებულს მის სამშობლოს, გრძნობს, რომ მას მოაკლდა ერთი კიდევ ერთგული ლეკაჯი, გრძნობს მის განსაცდელს და რამდენად ძლიერია ეს განცდა, იმდენად მეტად სურს პატივითა და თანაგრძნობით შეასრულოს უკანასკნელი ვალი ძვირფასი ცხედრის წინაშე. მასშინდ გაღვიძა ადამიანმა მისი მოვალეობის უმაღლესი შეგნებით და მართალი უნდა ვაღიაროთ პოეზიამ ეს ვალი ღირსეულ გმირისადმი ღირსეულად მოიხადა. მეც შენ ლამაზი ხსოვნის წინაშე; საუცხოო ახალგაზდავ მუხლს ვიდრეკ და ვევედრი უზენაეს ძალას, რათა წამებულ შენს ერს შესძლებოდეს შენისთანა უმანკო მსხვერპლის გამოსყიდვა რომ მას გაემართლებინოს ეს უკანაშინელესი უსამართლობა, როგორიც არის ახალგაზდათვის სიცოცხლის წართმევა.

საუკუნო განსვენება შენს ლამაზ სულს.

თეოდოსია ჯაფარიძისა

ᲡᲘᲐ

მოკლულებისადა დაჭრილებისა ბათომის პარტიზანული პოლკის

ოფიცრები:

1, პრაპ. დიმიტრი გულისაშვილი გარდაიცვალა მძიმე ჭრილობისაგან.

2, კორნეტი გაბუნიანი სილოვანი დაჭრილია ბარკლის მარჯვენა ზედა მესამე ნაწილში (მსუბუქად.)

3, პრაპ. თეოდოსი ჭუმბურიძე დაჭრილია მარჯვენა ფეხის კოჭში (მსუბუქად.)

4, პოდპ, სავა შენგელია ფეხში შრაპნელის ნატეხით (მსუბუქად.)

5, კაპიტანი გურგენიძე დაჭრილია ფეხის გულში (მაუბუქად.)

პარტიზანები:

1, მუშკუდიანი შალვა 3 ასეულის დაჭრილია მარცხენა მკლავში (მსუბუქად)

2, ფრიგაშვილი თედო 2 ასეულის დაჭრილია მარცხენა ღლიაში მსუბუქად

3, აბაიშვილი ლეონ პულემიოტჩიკი დაჭრილია ფეხში მსუბუქად

4, ჩაბუკაური ალექსანდრე დაჭრილია მარჯვენა კიბეკაპაში მსუბუქად

5, ხარაშვილი ალექსი დაჭრილია მარცხენა ბარკალში (ასუბუქად)

6, გვენეტაძე ალექსანდრე დაჭრილია მარჯვენა ბარკალში მსუბუქად

7, კიკნაძე ვარლამ 1 ასეულის მოკლულია.

აკიმი ფხალაძე

გამომცემელი:
ᲡᲐᲥᲗᲐᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ
ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ
ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲙᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲘ
გინაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 1 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქუჩა № 14.